# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-370

ქ. თბილისი

01/05/2019

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქუჩა N15-ში, სს ,,საქკაბელის'' კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატებია: X-335596; Y-4664884; ჭაბურღილი მდებარეობს მდ. ყვირილადან 750 მეტრში. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია-500 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს: 150 000 $მ^3$-ს წელიწადში; საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P(პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არტეზიული ჭაბურღილის წყლის შესწავლამ აჩვენა, რომ იგი ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0.5 გ/ლ-მდე. ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა ასევე სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 10-15 $^0$C-ია. სალიცენზიო ობიექტები არსებულია, თავმორთულობები მოწყობილია.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილი წარმოადგენს არსებულ ობიექტს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რადგანაც ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ჭაბურღილის მიწისზედა ინფრასტრუქტურა (ჭაბურღილის თავმორთულობა) მოწყობილია, შესაბამისად ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.
საქმიანობა არ არის დაგეგმილი ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს და შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე</u>

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის

ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი